№ 22 იანვარი 30, პარასკევი 1887 იანვარი 30, პარასკევი № 22

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . .	10	—	6 . .	6	—
11 . .	9	50	5 . .	5	50
10 . .	8	75	4 . .	4	75
9 . .	8	—	3 . .	3	50
8 . .	7	25	2 . .	2	75
7 . .	6	50	1 . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

გაზეთი „ივერია" პირველის თებერვლიდამ წლის დამლევამდე ღირს 9 მ. 50 კ.

კვირას, 1-ლ თებერვალს

„კრუჟოკის" დარბაზში

გამართული იქნება

ბალი

დრამატიულის საზოგადოების სასარგებლოდ.

ბილეთის ფასი 3 მანეთია

ქალებისათვის გულ-ამოჭრილი კაბები სავალდებულო არ არის.

ბალი დაიწყება „პოლონეზით" 9½ საათზე. (4—2)

იჯარადარი

ონანოვის ქარვასლისა—წინად ყორხმაზის და ეხლა პარუნსარქისოვების ქარვასლისა, მეორე გილდის ვაჭარი გარსევან რატიანი ამით აუწყებს პატივცემულ ვაჭრებს, რომელნიც ამ ქარვასლაში ჩამოხდებიან ხოლმე, შემდეგს: რადგან ამა წლიდამ აღკრძალულ იქმნა უბილეთო მოვაჭრეების მოსვლა ტფილისში, ამისათვის სთხოვს ყველას, თავისი საბუთები იქონიონ.

(3—3) მოიჯარადრე გარსევან რატიანი

ტფილისი 29 იანვარი

ამ რამდენისამე წლის წინად ყველა სახელმწიფოს ევროპაში დიდსა, თუ პატარას ერთი ციებ-ცხელება შეუდგათ საკოლონიო პოლიტიკისა, თითქო შინ საკუთარი და თავში საცემი საქმე გამოელიათო. საფრანგეთმა ტონკინისაკენ გაიწოდა ხელი და კარგა ბლომა ხარჯი ფულით, თუ კაცით ზედ შეალია. ინგლისმა ბირმანიის იმპერიას ჩაჰკიდა ხელი და ამას გარდა აქედ-იქიდაც თვალი მოატრიალა, ხომ არ არის იმისთანა რამე რომ ხელთ ვიგდოვო. ისპანიას და გერმანიას ხომ რაღაც კოროლინის კუნძულებზედ კინაღამ ომიც არ აუტყდათ, თუ რომ პაპის შუა-კაცობას არ ეშველა. ამ ციებ-ცხელებას არც იტალია გადურჩა. ამანაც გაიწია და აფრიკაში მეწამულის ზღვის პირას, აბისინიის ახლო, მასსოვა დაიჭირა. ამბობენ, რომ იტალია აქ ინგლისმა წაიტყუაო. ინგლისს მაშინ სუდანის დაჭერა უნდოდა, სადაც სახელოვანი და აწ განსვენებული მაჰდი, ახალი წინასწარმეტყველი მაჰმადიანთა, წინა-აღუდგა მთელის ერითა. ამ მაჰდიმ ისე გაუჭირა საქმე ინგლისსა, რომ ინგლისმა აღარ იცოდა, რა ექმნა და მშველელს ეძებდა მეზობელთა შორის. ამ სუდანის საქმეში მარტო სამს სახელმწიფოს შეეძლო გარეულიყო, მარტო იმისთანა სახელმწიფოს, რომელსაც დიდი ინტერესი აქვს ხმელთა შუა-ზღვაში, რადგანაც აფრიკას ამ ზღვაზედ მოუდევს თავი ჩრდილოეთით. ამისთანა სახელმწიფონი არიან ოსმალეთი, საფრანგეთი და იტალია. ოსმალეთი და საფრანგეთი ვერ მიეშველებოდნენ ინგლისსა, რადგანაც ორივ ესენი ამრეზილნი იყვნენ და დღესაც არიან ინგლისზედ ეგვიპტისა და სუეზის არხის გამო. დარჩა მარტო იტალია. ინგლისმა ოქროს მთები დაუქადა იტალიას, ზემოხსენებული მასსოვა დააჭერინა და ამ გზით გააბა საქმეში. ინგლისს იმის იმედი ჰქონდა, რომ იტალია სამხრეთ-აღმოსავლეთით მოაწვება სუდანსა, მეც ზევიდამ წამოვალ და შიგ მოვიმწყვდევთ სუდანელებსაო. მართალია, იტალიამ მასსოვა დაიჭირა, მაგრამ ინგლისს სურვილი ვერ აუსრულდა. მასსოვაში ფეხის შედგმამ იტალიის მხრით აბისინიის ნიგუში (მეფე) იოანე დიდს საგონებელში ჩააგდო. იოანეს არ ეჭაშნიკა იტალიის მეზობლობა და იტალიელებს დახვდა წინ ჯარითა.

ამ იანვარში იტალიაში მასსოვიდამ სულ ცუდი ამბები მოდიოდა. იმის გარდა, რომ იტალიის ჯარი წუდებოდა იმ ცხელ ქვეყანაში აუტანელის ჰავისა გამო, ხმები ისმოდა, რომ აბისინიის ჯარი მოდის იტალიელებზეო. ამ ხმებმა იძულებულ ჰყვეს იტალიის პარლამენტის დეპუტატნი ეკითხნათ მთავრობისათვის,—რა ამბავია მასსოვაშიო. 12-ს იანვარს ამ კითხვაზედ იტალიის მინისტრმა რობილანმა პასუხი მისცა, რომ თუმცა მართალია აბისინიის ჯარი ჩვენს ჯარზედ მიდისო, მაგრამ ჩვენი გენერალი ჯენე, რომელსაც ჩვენი ჯარი აბარია მასსოვაში, იწერება, შიში არაფრისაა, რადგანაც საკმაო ღონე მაქვს უკუ-ვაქციო აბისინელებიო. ამას თავისით რობილანმა ისიც დაუმატა, რომ ამ შიშის ხმებსა დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიეცესო. გენერალი ჯენე მარტო იმას ჰთხოულობდა, რომ 600 კაცი მომაშველეთ და მე გავუძლებ აბისინელებსა, მით უფრო, რომ არა მგონია ნიგუშმა იოანემ მტრობა შემოგვბედოსო.

13-ს იანვარს ამბავი მოვიდა იტალიაში, რომ აბისინიის სარდალი რასს-ალულა დასცემია იტალიელებს მასსოვაში და 200 კაცით დაზარალებულა მაშინ, როდესაც იტალიელებს სულ ხუთი კაცი მოჰკვდომიათ. ამ ამბავს სუაკინიდამ ის ამბავიც მოჰყვა, რომ მასსოვაში არეულობა მოხდა და ომი იტალიელებსა და აბისინელთა შორის საცაა ასტყდებაო. 14-ს იანვარს რობილანი მაინც კიდევ არწმუნებდა პარლამენტს, რომ შიში არაფრისაა და რაც იქ ჯარი გვყავს, საკმაო „ბარბაროზნი" უკუ-აქციოს დამარცხებულნიო. 21-ს იანვარს ამბავი მოვიდა, რომ მასსოვის ახლოს საატისში აბისინელები თავს დასხმიან იტალიელებს და რაც აფიცრები ყოფილან იტალიის ჯარში, სულ გაუქლეტიათო. სჩანს, ძალიან დამარცხებულა იტალიის ჯარი, თუ კი ერთი აფიცერიც ვერ გადარჩომილა. ამ ამბის მიღებისვე უმალ იტალიის მთავრობა შესდგომია 600 კაცის მაგიერ, რომელთაც ჰთხოულობდა აწ დამარცხებული გენერალი ჯენე, ათი-ათასი კაცი ჩასხას ხომალდებში და მიაშველოს. ამისათვის ბძანებაც გაიცა, რომ იტალიის გემ-ხომალდებს თავი მოეყარათ ნეაპოლში ჯარების წასაყვანად. თუმცა იტალიის სენატმა, მოისმინა რა ეს სამწუხარო ამბავი, დაადგინა გამოეცხადოს სამინისტროს სრული ნდობა, მაგრამ მაშინვე ხმა დავარდა, რომ რობილანის სამინისტრო თავს ველარ დაიჭერსო. გუშინდელმა დეპეშამ გვაცნობა, რომ ეს ხმა გამართლდა და რობილანის სამინისტრო გადამდგარა. ეს ამბავი მით უფრო საყურადღებოა, რომ თავის ზედ-მოქმედებას იქონიებს ევროპის ეხლანდელს პოლიტიკაზედ, რადგანაც რობილანი ცნობილია ვითარცა ერთგული მომხრე ავსტრიისა და, საცა გინდათ და არ გინდათ, ავსტრიას მხარს აძლევდა და სარჩლს უწევდა.

ახალი ამბავი

⁂ სახელმწიფო საბჭოს 27 იანვარს გადაუწყვეტია, რომ მთავრობამ თვითონ იკისროს გამგეობა და მართვა ამიერ კავკასიის რკინის გზისა. ამ საგანზედ დეპეშა მოსვლია კიდეც ამ გზის საზოგადოების მმართველობას. ამ სახით, მალე თვით ხაზინა ჩაიბარებს რკინის გზას კერძო საზოგადოებისაგან და თავის წესებს შემოიღებს გზის მართვისათვის.

⁂ ჩვენ გავიგონეთ, რომ ის ეტნოგრაფიული წერილები ხევსურეთზედ, რომელიც იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთში, ერთს ქართველს მწერალს გადაუთარგმნია რუსულად კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოებისათვის, რომელიც ამ წერილებს დაჰბეჭდავს თავის «Извѣстія»-შიო.

გავიგონეთ აგრეთვე, რომ ბ-ნს ნ. ხუდადოვს დაუწერია რუსულად საკმაოდ ვრცელი წიგნი ხევსურების ყოფა-ცხოვრებაზედა.

⁂ სურამის სიახლოვეს, სოფ. ტეზერში საქონლის ჭირი გაჩენილა. როგორც იქაურმა მცხოვრებელმა გლეხ-

---

ფელეტონი

ძმური სიტყვა

(შემდეგი*)

VI

სდობს ყოლა უწვრთის ძაღლისა უწრთვნელის შვილის ყოლასა.

რა მომაგონდა, რო იცოდეთ. გუშინწინ რეგვენიაანთ ოროლობეში მოვდიოდი და ლობეს იქიდამ შემომესმა: «კაცს დამიხედეთ, კაცს, ყმაწვილისთვის თავი გაუყადრებია და ეთამაშებაო». არა, მაშ ვინღა უნდა ეთამაშოს ყმაწვილს და ვინ უნდა ჩააგონოს საფერისი ცოდნა, თუ არა პატრონმა, მაგრამ უცოდინარს ესაც კი სათაკილოდ მიაჩნია. ცხონებული მამაჩემი იტყოდა ხოლმე: კაცს სამი ზნე უნდა სჭირდესო: ყმაწვილთან კუკი უნდა იყოს, ხალხთან ხალხის ჭკვისა და კალამთან ბრძენიო. რა ყოფაქცევისაც ჩვენ ვიქნებით, შვილებიც იგეთები გვეყოლებიან. „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო." ერთმა ჭკვიანმა კაცმა ბძანა, რო „ერთი კეთილ-გონიერი დედა ას „უჩიტლადა" ღირსო". მართალია, სკოლა შვილებს გვიწურთნის, მაგრამ თუ კი ჩვენც იქამდის არ მიგვიწევდება გონება, რო ჩვენ ყმაწვილებს ჩვენც ჩავაგონოთ კეთილი საქმე, მაშინ ეს იმას ეგვანება: ნაბანოევს რომ იგრევ ჭუჭყში აგდებდნენ. ყმაწვილის გული ბოსტანია, რასაც ჩაჰნერგავთ, ის ამოვა.

არა თუ მარტო ყმაწვილობაში, ნათქვამია, «სიბერემდის კაცს სწავლა არ მოსჭარბდებაო» და მართალიც არი. რაც დღეს ვიცით—პატარობაში არ ვიცოდით, ვისწავლოთ და უფრო ბევრი გვეცოდინება.

სწავლა ბოლო მოუღებელი კიბეა და იმ კურთხეულ კიბეზე ყველას ნება აქვს ასვლისა, მაგრამ ყველას ერთნაირად როდი შეუძლიან იმაზე სიარული: ზოგი თეთრად დაბერებულა და მაღლიდამ ძირს მოიწევს, ზოგი კიბის ძირთან მისულა და ასვლას კი არა წადინობს, ზოგი ეაი ნაჩრობის ზლოზნით მიებლოტება, ზოგს აუვლია ათიოდე საფეხური და თავ-ქვევე მოამტვრევს, ფაფა არ გამიცივდესო, ზოგს უნდა რო მაღლიდამ უფრო შეიმაღლაუროს, მაგრამ საგძალი აღარ მიზდევს, ზოგი კი მიდის და მიდის და ჩამოაქვს ათას ნაირი ღვთის წყალობა. როცა მე და ჩემი და პაწაწინები ვიყავით, ჩვენმა პაპამაც ეგრე იცოდა: ავიდოდა სხვენზე, ჩამოიტანდა ყურძენს და გაგვიშლიდა. რო ვეტყოდით: პაპავ, რატო შენ კი არ მიირთმევო.— არა, შვილო, მე სხვენზედაც ბევრი გიახელ, ამით კიდევ თქვენ გაიხარეთო.

იქნება მკითხოთ: აბა ი სწავლის კიბიდამ ვინ ვის რა ღვთის წყალობა ჩამოუტანაო. აი მოიხსენეთ, ბატონებო. იქიდამ ჩამონატანი ღვთის წყალობა ღვთისნიერის კაცების წიგნებში სწერია, მაგრამ ვის ყურამდინაც ის არ მისულა, იმას ჯერ ღვთის მადლი არ ჩაჰსახვია გუნებაში.

რახან სიტყვამ მოიტანა, ცოტა რამ წიგნებზედაც უნდა მოგახსენოთ, თქვენში ბევრი წიგნიანები ურევიან და ურიგო არ იქნება. კარგის წიგნების კითხვა მკვდარსაც გააცოცხლებს. ქვეყნის გაჩენიდამ დღევანდლამდის რაც კი რამ დუნიაზე სამახსოვრო საქმე მომხდარა, სულ წიგნებში სწერია.. და ისინი გვასწავლიან კიდეც, როგორ უნდა ცხოვრება. ქვეყანა წიგნების მადლით არის სავსე და კაცურის კაცის ცხოვრებაც იმათის წყალობით არის აყვავებული.

კაი წიგნების კითხვა იგრე დაგვახალისებს ცოდვისაგან, როგორც მღვრიე წყალს შაბი დააკამკამებს ხოლმე. სხვაც არა იყოს რა, საქმის შემდეგ წიგნების კითხვა ისე შეგვაქცევს, გვანუგეშებს და გაგვასულკეთილებს, როგორც მაისის ვარდებთან ვაჟკაცს თავის გულის საყვარელის საცოლოს ტკბილი ღუღუნი გააცოცხლებს ხოლმე. დალოცოს ღმერთმა ქვეყნისათვის ის თავ-დადებული კაცები, რომლებიც იყვნენ, არიან და იქნებიან კიდეც. აი იმ ღვთისაგან კურთხეულმა კაცებმა დაგვიწერეს და დაგვინარჩუნეს იგეთი წიგნები, რომ იმათის წყალობით ადამიანის ცხოვრება თანდათან შემატებაში შედის, ბოროტება ქარწყლდება და კეთილი მრავლდება. ვინ იტყვის, რომ იმ წიგნების დამწერები დღესაც ცოცხლები არ არიან. იმათი მარტო ხორცი მოკვდა, სული სამოთხეშია და გონება-ფიქრით კი დღესაც ჩვენთან იმყოფებიან. იმათი გონება და ფიქრი იმათი წიგნებია და როცა ისინი მკითხველს დარიგებით უამბობენ, რაც კი რამ იმათ უნახავთ და გადაჰხედიათ ამ წუთი-სოფელში, მაშინ ისინიცა ტირიან სატირელს და გამგონსაც ატირებენ და ხან თითონვე მხიარულობენ ნანახის სიკეთით და სხვებსაც ამხიარულებენ.

წიგნი და სარკე ორივ ერთია. როცა სარკეში ჩავიხედავთ ხოლმე, მაშინა ვხედავთ, რა გვაცხია სახეზე. მე იქნება გამოსადეგი ვიყო ადამიანისათვის, იქნება „კუდა-ხარი თავისთვის არ იყო, სხვას ბუზებს უკერებდაო", ესაც ვიყო, არც ეს არის საკვირველი; მაგრამ როცა წიგნებში ვიხედები, მაშინ მაგონდება: რაცა ვყოფილვარ, რაცა ვარ და რაც უნდა ვიყო. უცოდველი მარტო ღმერ-

---

*) იხ. „ივერია" № 18.

მა მითხრა, ოც-და-ათს სულზე მეტი ხარი და კამეჩი გაუწყვეტია ჭირსაო

⁂ სურამიდამვე გვწერენ: გუშინ დილით წიფის რკინის გზის სიახლოვეს, ორთქლით მატარებელი, რომელიც ფონიდგან მიდიოდა, გზიდგან გადავარდა. უბედურება არაფერი მომხდარა, რადგანაც გადავარდნილი ორთქლით მატარებელი დიდმა თოვლმა უცბად შეიკავაო.

⁂ იქიდამვე გვწერენ: დიდის თოვლის მიზეზით ტყეების გზები ჯერჯერობით შეკრულიაო. ამიტომ სურამში და ხაშურში შეშა ძრიელ გააძვირეს იმათ, ვისაც დღემდინ გასასყიდად ელაგა და თოვლის მოსვლას ნატრობდაო. საჟენი დახერხილი რცხილის შეშა ისყიდება არა ნაკლებ 30 მანათისა, წინად კი 20—22 მანათად ისყიდებოდაო.

⁂ ქართლიდამ გვწერენ: ჩვენ სანდო პირთაგან შევიტყვეთ, რომ ბ-ნს გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს განზრახვა აქვსო, რომ შეჰკრიბოს გორის მაზრაში გამოჩენილი მომღერლები და მოიწვიოს ბ-ნი რატილიო. ბ-ნ რატილთან ამღერებს და რომელ სიმღერასაც მოიწონებს, გადაალებინებს ნოტებზედაო. რადგან ბ-ნ წინამძღოლს განუზრახავს, იმედია, რიგიანს მომღერლებს მიიწვევს, მაგალითებრ, თ. ციციშვილებს, რომელთაც თავიანთი საკუთარი საგვარეულო სიმღერა თურმე აქვთ „შეკრა წითელი“. ეს სიმღერა მარტო ციციაანთ თურმე იციან და უნდა გითხრათ, რომ ლამაზადაც მღერიან.

⁂ იქიდამვე გვატყობინებენ, რომ ამ ჟამად ქართლში, გორის მაზრაში, ერგიანი დღეები დაიჭირა, ლელმა დაჰკრა და თოვლი სულ გააჭყაპაო. ტყუილია ის ხმები, ვითომ მინდვრად თოვლი არ იდოს; კარგა ბლომადა ჰდევს და ამ ლელმაზე ძალიანაც გაუჯდება. მარტო კვერნაკებზე აჰგავა ქარმა თოვლი და ხევებში ჩააგროვაო.

⁂ „С.-Пет. Вѣд.“-ი ამბობს, რომ ფინანსთა სამინისტროსთან დაუწესებიათ კამისია, რომელსაც ვალად ექმნება ჩაის მცენარე ახაროს და გაავრცელოს კავკასიაშიო.

⁂ გაზ. „კავკაზი“ ამბობს, რომ მოაჯირი კუკიის ხიდისა ძალიან დაძველდა და ფრიად საჭიროა უბედურების ასაცილებლად გასინჯულ იქმნას ეს მოაჯირი მცოდნე კაცებისაგანაო.

⁂ კავკასიაში სულ 4,456,570 დესეტინა ტყე ყოფილა. ტყით ყველაზე მდიდარი ალაგი კავკასიაში შავის ზღვის ნაპირებია. ესრედ-წოდებულს შავის-ზღვის ნაპირების ოლქაში თითო კაცზე 7-ს დესეტინაზე მეტი ტყე მოდისო.

⁂ ცოფიანის ძაღლისაგან დაკბენილნი ტფილისის მცხოვრებნი მხითარიანცი და ფარეჯანოვი უკვე გაუგზავნია საქალაქო გამგეობას ოდესაში მოსარჩენადაო, ამბობს გაზ. „Нов. Обоз.“

⁂ იგივე გაზეთი ამბობს: ავლაბარში, მახათას ახლო, ერთა ტფილელს განუზრახავს წყლების გასაწმენდის ქარხნის დაარსება. ამ ქარხანაში გაიწმინდება წყლები, გაიბერება, გამოშრება და გასასყიდად გაიგზავნება სხვა-და-სხვა ქალაქებში ქეხვებისათვისაო.

დამაკვირდი!

ვინც ანბანი შემოიღო, მან ხელთ მოგვცა მაფი ჩვენის აზრისა და გასაღები ბუნებისა. (რივაროლი)

**

უწმინდური სინიდისი ლხინშიაც ჯოჯოხეთსა ჰპოულობს. (მენტენონი)

**

თუ უჩივი ღმერთსა დამბადებელსა,— მისი სამოთხე აქავე უბოძებია: მისგან უფროსსა და უკეთესსა რასაღა სთხოვ? (ვისრამიანი)

**

ღვინოს, შმაგობას ევლტოდე
ეშვი გეტვირთოს გულითა,
ნსუბსა და ზაკვას მოშორდი
არ დაიკარგო სულითა!

**

წუთი-სოფელზედ ნათქვამი:

გაბასრულა ხარ მწიკვლითა,
აროდეს განირეცხები,
ვინც რომე შენა გეხების,
ფისივით ზედა ეცხები,
სადებლად კაკანს მოჰყვები,
როცა რომ დაიკვერცხები,
მაგრამ კი დასდებ ვერა რას,
მუცლითვე დაიფერცხები.

(დავ. გურამიშვილი)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთებში მხოლოდ ერთი ლაპარაკი და ხმა-და ისმის: შეიარაღებისაგამო დასასრული არა აქვს სხვა-და-სხვა ფიქრსა, მოსაზრებასა და პლანებს. ესა და ეს სიტყვა ბისმარკისა ამასა და ამას მოასწავებსო; საფრანგეთი არწმუნებს გერმანიას, რომ ჩვენ მშვიდობიანობა გვსურსო, მაგრამ ეგ მხოლოდ ცარიელი თავაზააო.

> ერთის სიტყვით, ვერავის ვერა გაუგია-რა დღევანდელის მდგომარეობისაო, ამბობს მეშჩერსკის გაზეთი.

გაზეთს მოჰყავს შემდეგი ლაპარაკი ერთის დიპლომატისა:

> — რა ამბავია ბერლინშიო, ეკითხება ერთი მაღალის საზოგადოების ქალი ბერლინიდამ მოსულს დიპლომატს, რას ჰფიქრობენ, რა ჰნახეთ:
>
> — თქვენ ტყუილად გგონიათ, ბატონო, რომ მე ვიცი რამე მაგისი... ბერლინშიაც, როგორც დავრწმუნდი, არა იციან-რა, რა იქნება.
>
> — როგორ, თქვენ იქ ესა ჰნახეთ, ისა ჰნახეთ და როგორ ვერა შეამჩნიეთ-რა, ვერა გაიგეთ-რა.
>
> — ისიც ვნახე, ესეცა, იმასაც ველაპარაკე, ამასაცა, მაგრამ მაინც ვერაფერი ვერა გავიგერა. იქაც ისე ცა, როგორც აქ და ზედ არაფერი ნიშანი არა სჩანსო.
>
> — თქვენს ცას რას დავეძებ, თქვენ ეს მიბრძანეთ, რა ამბავია?
>
> — იქაც უნდათ იცოდნენ ეგა, მაგრამ ვერ გაუგიათ! გაზეთებიც მაგასა სწერენ, შინ და გარედაც მაგაზედ ლაპარაკობენ, მაგრამ მაინც-კი არ იციან, რა იქნება შემდეგ. ამას კი გეტყვით, რომ ბისმარკი და მოლტკე დღე და ღამ მუშაობენ... მუდამ დღე თათბირი და ბჭობაა იმპერატორის სასახლეში, გარეშე საქმეთა სამინისტრო გაცხარებულს მზადებაშია; ჯარებს გამუდმებით წურთვნიან, გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს საფრანგეთს. ლაპარაკით ყველა ცოტას ლაპარაკობს, მაგრამ ეტყობა საქმით ბევრსა საქმობენ. ომი ეზარებათ და ეძნელებათ. რა დროს გერმანიის ომიაო, როცა იმპერატორი 90 წლისაა, მოლტკეც ამდენისავე ხნისა და ბისმარკი კიდევ 70 წლისაზე მეტი.
>
> — მეტი აღარა იცით-რა?
>
> — აღარაფერი გერმანია ომს-კი თავად არ დაიწყობს და მომზადებით-კი საფრანგეთზე უმალ მოემზადებაო.

ასეა ხშირად, რამდენისამე საათის წინად ვერავინ შეატყობს ხოლმე ცას, რომ ჭექა-ქუხილს აპირობსო. ბევრი ისეთი დიდი ამბავი გადაჰხდენია სხვა-და-სხვა ერს, რომ რამდენისამე დღის წინად ფიქრადაც არ მოსვლია, ასეთი საქმე მომელისო. თვით გონიერნი და შორს მხედველნი კაცნიც-კი ველარ შეიძლებენ ხოლმე გასჭვრეტონ, რა ელის იმათ ქვეყანას.

⁂

დიდი და სახელ-განთქმული, წინ წასული ერი ხშირად გამოზრდის ხოლმე თითოეულს დიდს მამულის-შვილს, რომელსაც თითქო განგებ მიანდობს ხოლმე თავის უდიდესს საქმეს შესასრულებლად. ამ გვარს კაცს მთელი ერი თავს ევლება, აქებს, ადიდებს და ამ გვარად უფრო ამაღლებს და ცამდინ აჰყავს მისი სახელი. ასეთია დღეს საფრანგეთის ერისათვის გენერალი ბულანჟე, რომელსაც ერმა მიანდო თავისი მხედრობა და დაავალა საფრანგეთის სახელის დაცვა.

> ერთი გერმანიული სამხედრო გაზეთი ამბობს, რომ 1870—71 წლიდამ 17 სამხედრო მინისტრი ჰყავდა საფრანგეთს და ამ 17 მინისტრში არც ერთს ისეთი გავლენა არა ჰქონია საფრანგეთის მხედრობაზე, როგორიცა აქვს გენერალ ბულანჟესაო. ამას გარდა არც ერთს მათგანს არა ჰქონია ისეთი სახელი ჯარში, დეპუტატთა პალატაში და, ასე გასინჯეთ, თვით საფრანგეთის ერშიაც, როგორც ბულანჟესაო. იმისი სახელი უფრო დიდია დღეს საფრანგეთში, ვიდრე სახელი ტიერისა და გამბეტასიო.

ამ გვარნი კაცნი ძლიერნი არიან ერის ნდობისა და სიყვარულითა. მტერს მუდამ ეშინიან ბულანჟესავით განდიდებულისა და ერისაგან სათაყვანოდ გამხდარის კაცისა.

ძლიერი ბისმარკიც-კი უფრთხის ბულანჟეს, იმიტომ რომ ბულანჟესკენ მთელი საფრანგეთის ერია და ბისმარკმა-კი თავისი რეიხსტაგიც-კი ვერ დაიყოლია და სამხედრო კანონ-პროექტი ვერ მიაღებინა.

⁂

ქაღალდის ფულის ფასმა ამ ბოლოს დროს ძალიან დაიწია. რუსეთში ხუთ-მანათიანი ოქრო, როგორც ვიცით დეპეშებიდამ, 9 მანათი და 9 კაპეიკი ჰღირს ქაღალდის ფულითა. ჟურნალ-გაზეთობის აზრით, საერთოდ საფინანსო მდგომარეობა რუსეთისა ამ ჟამად რეფორმასა საჭიროებს. ამ მხრივ საზოგადოებას იმედი აქვს ახალის ფინანსთა მინისტრის ბ-ნის ვიშნეგრადსკისა.

აი რას ამბობს ამ საგანზე გაზ. „Рус. Вѣд.“-ი, რომელსაც მიმოუხილავს ფინანსები რუსეთისა 1863 წლიდამ დაწყობილი 1884 წლამდე:

> დღევანდელი მდგომარეობა ფინანსებისა ხანგრძლივის ისტორიის ნაყოფი არისო. მიზეზი ამისი უფრო ის იყო, რომ ხარჯი აღემატებოდა ხოლმე შემოსავალსაო.

გაზეთი ამბობს, რომ ჩვენი ცდა ამ ჟამად ის უნდა იყოს, რომ ქაღალდის ფულის დაწეულს ფასს ვუშველოთ რამეო. რასაკვირველია, ეს პირველი საქმე იქნება ფინანსების განკარგებისათვის.

რუსეთი

— სახელმწიფო ხაზინას განუზრახავს ახალი ქაღალდის ფული გამოსცეს. ახალის ფულის ქაღალდი აბრეშუმ-ნარევი იქმნებაო.

— «კერძო ეკონომიური საზოგადოება» აპირობს ამ წელს გამართოს პეტერბურგში კრება მთელის რუსეთის ცხვრის პატრონთა და მატყლის ვაჭრებისა.

— ბაქოს ვაჭრებს შეუმუშავებიათ ახალი პროექტი ბაქოში დამოყვის დაარსებისა. როგორც გვატყობინებენ სტასტო ქალაქის გაზეთები, ამ მოკლე ხან-

---

თია, და მეც ადამიანის შვილი ვარ, ვცდილობ მადლიანის კაცების წიგნებით იმთენი ცოდნა შევიძინო, რომ უფალი არაში გავიწყრომო, ვენაცვალე იმის ძალსა და სახელს. აბა წაიკითხეთ გულის-ყურიანად ან წააკითხვინეთ დავითნი და წმინდა სახარება და ნახეთ, როგორის ნუგეშიანის მხნეობითა და სიხარულით აგევსებათ გული. დიახ, ჩვენ სახეირო-საკეთილოდ ბევრი რამ მარგალიტები სწერია წიგნებში, მაგრამ ჯერ კიდევ ყველას ყურამდის არ მისულა და არც მივა, თუ კაცს ან წიგნი არ ეცოდინება და ან კეთილის ჩამგონებელი არ ეყოლება.

რა ვიცი, ძმავ, თუ სწავლა და ვენახი ერთმანეთს არა ჰგვანდნენ, რაც გინდათ ის მიყავით. მაგრამ რაში ჰგვანან სწავლა და ვენახი ერთმანეთს, რომ ესეც მოგახსენოთ, უფრო კარგი იქნება. როცა ადამიანი სწავლაში იზდება, მაშინ იბადება და ყვავდება იმის გონებაში ათას ნაირი სასარგებლო ცოდნა. ვენახსაც ეგრე აშენებენ: ცარიელ ადგილში ახლო-ახლო არხებსა ჰყრიან და სამ-ოთხ წელიწადში ვენახად აქცევენ ხოლმე. ვენახი ყოველ-წლივ ყურძენს გვაძლევს და ჩვენიდამაც მუდამ პატრონობას ითხოვს: უნდა გავსხლათ, ყალთაღებაში ვაზები გადავაწვინოთ, დავბაროთ, შავსაროთ, ავაქვაოთ, ავკლერტოთ, შავყელოთ, ავახვიოთ, გავმარგლოთ, გავთოხნოთ, გავფურჩნოთ. თორემ თუ ვენახს ხელს მოვაკლებთ, ვენახიც ყურძენს მოგვაკლებს და თუ ერთბაშად ხელს ავიღებთ, მაშინ ისიც ჩვენზე ხელს აიღებს: დაოჩხნარდება და ბოლოს ამოვარდება კიდეც. სწავლაც ეგრეა: ვისწავლით—უფრო ბევრი გვეცოდინება, არ ვისწავლით და რაც ვიცით, ისიც დაგვავიწყდება. ბევრი კაცი მინახავ, აქაო და სკოლა გამითავებიაო, ხელში წიგნი აღარ აუღია და ბოლოს იგრე გამოჰლევია ჭკვა, როგორც მშიერ-მწყურვალ ფურს რძე გამოელევა ხოლმე. წიგნებიც ჭკვა გონების საზდო-სარჩენად გაუჩენია უფალს.

სოფლებშიაც მალე გველირსება სახალხო წიგნების სახლი, სადაც ყველას შეუძლიან შევიდეს და იკითხოს კარგი და კარგი სასარგებლო წიგნები. ნუ კი იფიქრებთ, რაღა დროს ჩვენი სწავლააო. ხომ გახსოვთ წინანდელი ანდაზა: „სიბერემდის კაცს სწავლა არ მოსჭარბდებაო“. რამთენი მომხდარა ქვეყანაზე, რომ ორმოცის წლის მიწის-მუშას ანბანაც არა სცოდნია და მერე იგეთი წიგნი უსწავლია თავის-თავად, თავისის დაუღალავის მხნეობით და იგეთი დიდი ნასწავლი და ქვეყნის სასარგებლო კაცი გამოსულა, რომ იმისაგან დათესილ მადლს არას დროს არ დაივიწყებს დუნია. ჩვენ ქვეყანაში ბევრგან მინახავ სკოლის შეგირდი შეყრილ ხალხში წიგნსა კითხულობდა და ხალხი გულიანად ისმენდა. ღმერთმა ქნას, რო გახშირდეს ჩვენ ხალხში კაი წიგნების კითხვა, რო კეთილის ჩაგონებით გლეხობის გულის-ქრილობას მალამო დაედვას და ღვთისნიერი ადამიანობა ჩაესახოს.

შარშან ყვარლიერში სამიკიტნოს წინ ხალხი შეყრილიყო და ერთი ჩვენებური ხუმარა გიგუცი ეუბნებოდა ერთს დარაბებზე ჩამობძანებულ მჭლე თავადიშვილს: „თქვენო კეთილ-შობილებავ, რა გახდება, რომ ერთხელ მა ჩიბუხსა და კრიანასულს უღალატო და შენის ხმის გაცემით გაგვაბედნიეროო. იქნება იგეთი რამ წამოგცდეს, რო წამლად გამოგვადევსო“.

თავადმა ცხვირი ზევით წაიღო და ხმა არ ამოიღო. ზედ ეტყობოდა, რომ ის ამასა ფიქრობდა: აქ თქვენი ცალი და ნაჭერი ვინ არიო.

რა ეს გინდათ, რამთენის უარზანიკო-ნაცარქექია თავადისაგან თუ აზნაურისაგან გამიგონია: „ჩვენი სისხლი სხვა არისო, მე რა გლეხუჭას სწორი და ტოლი ვარ, რომ იმას თავი გავუყადრო; გლეხს გლეხობა უნდა ეტყობოდეს და თავადს თავადობაო“. მოდი შენ და ელაპარაკე იმისთანა სიაჯამით გამოტენილ კუდა-თავადს, ის მაშინვე ამას დაგახლის მეშის ბურთივით: „ჩვენი სისხლი სხვა არიო!...“ უბედურს თუ ამით იმის თქმა უნდა, რო მე ოქროს გამონაწური სისხლი მიდგა და გლეხს თუჯისაო, ეს ხომ არ შაიძლება. ღმერთს ყველანი ერთის სისხლ-ხორცისაგან გაუჩენივართ ერთმანეთის ძმებად, და თუ იმ სიტყვით ის უნდა, რო თავის პაპის-პაპის ვაჟ-კაცობა წამოგვიყენოს და იმით თავი მოიწონოს, იმას არც ჩვენის დიდებულის რუსთაველის შვიდასის წლის წინად ნაბძანები სიტყვა სცოდნია, რომ

„ათასად გვარი დაფასდა,
ორი ათასად ზდილობა,
თუ კაცი თითონ არ ვარგა,
ცუდია გვარის შვილობა“.

იქნება იმ კუდა-თავადის პაპის-პაპა მართლა იგეთი ღვთისაგან კურთხეული ვაჟ-კაცი იყო, რომ თავის ქვეყნის სიყვარულის გამო სისხლის ომში მტერს თავ-ზარსა სცემდა და იმ თავადდებულის ვაჟ-კაცობით მიიღო თავადობა. მაგრამ დღეს ზოგ-ზოგი ჩალფაჩუნე თავად-აზნაურები-კი გვარის შემარცხვენლები არიან, რო გაიძახიან: ჩვენი სისხლი სხვა არიო და სიაჯამით-კი იგრე დაპუტუტუროებიათ უნდილობაშივე ი გონება, რო მჭადს ველარ არჩევენ პურიდამ.

დიახ, ეს უცოდინარობით მოსდით იმ ჩვენ თავად-აზნაურებს, თორემ განა ჭკვათა-მყოფი ადამიანი იმას იტყვის? ან განა ჭკვიანი, რიგიანი და ანგარიშიანი ადამიანი იმას კი იზამს, რომ ოქროს მთა-ბარში იჯდეს და იგეთი დაუდევნელი, საძაგელი ამპარტავანი და ჩოლფოტი კი იყოს, რო შიმშილით კუჭი ეწვებოდეს და უკანასკნელ დედულ-მამულსაც ხელიდამ აცლიდნენ? ვისი მამული გაიყიდა?—თავა-

ში შეუდგება ფინანსთა სამინისტრო ამ პროექტის განხილვასო.

— ამ ცოტა ხანში აპირობენ მოუმატონ ბაჟი უცხო ქვეყნებიდამ შემოტანილს მარილსაო.

— 22-ს იანვარს პეტერბურგის სათავად-აზნაურო კლუბში ერთი ძრიელ სამწუხარო ამბავი მომხდარა. ღამის პირველ საათზე ერთი ლამაზად ჩაცმული და მორთული მასკა გამოსულა კლუბის დერეფანში და ერთბაშად დაუქასნია:

„— ხელი მომაშველეთ... მიშველეთ... აქ სმა გასწყვეტია და მდივანზე დაცემულა. ამ დროს რამდენიმე კაცი მიშველებია და მოსართავს ოთახში გაუყვანიათ. პირიდამ მაშინათვე მასკა აუხდიათ და უნახავთ, რომ ახალგაზდა, 18—20 წლის ქალს სულთ-ებრძვის თურმე... პირის-სახე გაფითრებოდა, ქუთუთოები ჩაშავებოდა და მკერდს ელ-ფერი დასდებოდა.

„— ექიმი! ექიმი!.. ჩქარა ექიმს დაუძახეთო, დაიყვირა თურმე დამსწრე ხალხმა. შემოაგლეჯეს საწყალს ქალს თურმე ტანზედ სუყველაფერი, მოიტანეს წამლები, მაგრამ ქალი ვერარას გზით ვეღარ დაიხსნეს სიკვდილისაგან. განსვენებული, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ერთის მდიდარის მემამულის ქალი ყოფილა და სახელად ტატიანა დავიდოვისა ჰრქმევია. ექიმს უთქვამს, რომ ქალს გული გახეთქია და იმიტომ გარდაცვლილაო. მიზეზი ამ გულის გახეთქვისა-კი სხვათა შორის ისა ყოფილა, რომ «კარსეტი» მეტის-მეტად მოჭერილი ჰქონიაო.

— ერთი ებრაელი იერისუმ კურასი მისულა სოფელ გოლტში, გაუცვნია იქაური მცხოვრებლები და ცოლად ერთი ქვრივი ქალი შეურთავს. მეორე დღეს ცოლისათვის გამოურთმევია ფული და წასულა ოდესსაში სავაჭრო საქმეების გამო. ამის შემდეგ ქალს შეუტყვია, რომ იმის ქმარს სხვა ცოლი ჰყოლია დაბა ტალნოეში, კიევის გუბერნიაში და ამიტომ გამოსდგომია უკან, მაგრამ როდესაც ახლად ჯვარ-წერილი ქვრივი მისულა ოდესსაში, იმ დროს თურმე კურასი ბენდერში სხვა ქალზე დაქორწინებულა და ოც-და-ათი თუმანიც ახალის ცოლის ქრთამი ჩაუჯიბავს...

უცხოეთი

ბოლგარია. გაზ. „Figaro"-ს მოუვიდა დეპეშა მენტონიდგან, რომლითაც ატყობინებენ, რომ ჩვენს ქალაქში ფარულად პრინცი ალექსანდრე ბატტენბერგი მოვიდაო. პრინცთან არიან პრინცის ძმა ფრანც-იოსები და ორი ადიუტანტიო. პრინცი ალექსანდრე სასტუმრო „Des Princes"-ში ჩამოხდა; ამავე სასტუმროში პრინცთან მოელიან ინგლისის სახელმწიფო ოჯახის ზოგიერთ წევრთაო.

— სტოიანოვი და პანიცა მაკედონიაში აპირობენ თურმე წასვლას.

— ოსმალეთს წერილები დაურიგებია ყველა დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან და უთხოვნია, რომ ბოლგარიის საქმის გადაწყვეტაში შემეწიეთ და მხარი მომეცითო.

გერმანია. ბერლინიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Journal des Débats": პრუსიის მთავრობის მიერ მოწოდებული ზურგის ჯარი მაგაზინის თოფით სროლის შესასწავლად 26 იანვარს, 7 თებერვალს იქმნება დათხოვნილიო. რაკი ამ 72,000 კაცს დაითხოვენ, ახლა სხვა ჯარს მოიწვევენ ამავე საგნის გამოგო, იმ დრომდე, ვიდრე ჯარი კარგად არ შეისწავლის ამ ახალის იარაღის ხმარებასაო.

— ამ დღეებში გაზ. „Kölnische Zeitung"-ში დაბეჭდილი იყო, რომ საფრანგეთი ამ ჟამად შეჭურვილია და 15—16 წლის წინად დაწყებულს მზადებას ესლა ამთავრებსო. ესევე მიზეზია, რომ გერმანია შეუსვენებლივ ემზადება და ცდილობს სამზღვრები გაიმაგროს და განსაკუთრებით ელზას-ლოტარინგიას ამაგრებსო. თუ გერმანიამ მეტის-მეტად ბევრი ჯარი დააბანაკა ელზას-ლოტარინგიაში, საფრანგეთი მოითხოვს, რომ გერმანიამ სამზღვრებზედ დაბანაკებულის მეციხოვნეთა ჯარის რიცხვი შეამციროსო,—და თუ გერმანია საფრანგეთის შეიარაღებასა და მზადებას ყურადღებას არ მიაქცევს, მაშინ ფრანგები იმას იფიქრებენ, რომ გერმანიას ჩვენი შეეშინდაო,—ერთის სიტყვით, ამ ორთა დიდთა სახელმწიფოთა შორის ისეთი დამოკიდებულება სუფევს ამ ჟამად, რომ გერმანია ორში ერთ-ერთს გზას უნდა დაადგეს: ან საფრანგეთს უნდა უკანვე დაუბრუნოს იმდენის წვალებითა და სისხლის-ღვრით შენაძენი ელზას-ლოტარინგია და ან ომი უნდა გამოუცხადოსო.

— ბერლინიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Новости"-ს: აქაური ბირჟა ძალიან შეაშინა იმ გავრცელებულმა ამბავმა, რომ გერმანიის საიმპერიო ხაზინა 150,000,000 მანათსა სესხულობს სამხედრო მომზადებისათვისაო.

საფრანგეთი. საფრანგეთის გაზეთი „Paris"-ი ამბობს, რომ გერმანიის საომრად მომზადებას და ზურგის ჯარის მოწვევას საფრანგეთი ყურადღებასაც არ აქცევსო; მაგრამ საფრანგეთი-კი რომ მოქცეულიყო ეგრე, გერმანიის გაზეთები ერთს ალიაქოთსა და აყალ-მაყალს ასტეხდნენო.

— გარეშე საქმეთა მინისტრს ფლურანს მინისტრთა რჩევაში გამოუცხადებია, რომ, როგორც ჩვენის წარმომადგენელთაგან სხვათა სახელმწიფოებში ამბავი მოგვდის, სამზღვარ გარედ ომს არ მოელიან და იმ აზრისანი არიან, რომ ევროპის მშვიდობიანობა და წესიერება არ დაირღვევაო.

რუმინია. რუმინიის მთავრობას დიდძალი ზარბაზნები შეუკვეთნია კრუპპის იარაღის ქარხნისათვის ესსენში.

ავსტრია. ვენიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Новости"-ს, რომ 22 იანვარს იმპერატორი ფრანც-იოსები ბალში იყო და გამოაცხადა, რომ თუმცა ადვილად შესაძლებელია, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვეს, მაინც კარგად უნდა შევიარაღდეთო. ავსტრია აქამდე ძალიან ცოტა ფულსა ჰხარჯავდა ჯარის მოსამზადებლადაო და სამზღვრების გასამაგრებლადაო. გერმანია აგერ რამდენი ხანია ემზადება და ჯერ ეხლა კიდევ რამდენს ფულსა ჰხარჯავს ჯარზედაო.

ოსმალეთი. გაზ. „Matin"-ის რედაქტორის ერთს თანამშრომელს ამას წინად ლაპარაკი ჰქონია ოსმალეთის ერთს დიპლომატთან. აი დიპლომატს, სხვათა შორის, რა უთქვამს: „ოსმალეთი ამ ჟამად ყველა ზედ გულ-ნაწყენად არის რუსეთის გარდა. ინგლისმა ოსმალეთს კუნძული კიპროსი წაართვა, ავსტრი-ვენგრიამ—ბოსნია-ჰერცოგოვინა. რუსეთი სტამბოლთან იდგა გამარჯვებული წარსულს რუსთ-ოსმალოს ომის დროს და მაინც იმდენად არ დაუზარალებია ოსმალეთი, რამდენიც მეგობრებმა წაჰგლიჯეს ხელიდამაო. ინგლისი ნელ-ნელა ჩვენს აფრიკაში მდებარე მიწებს ხელიდგან გვაცლის; ავსტრია-კი მეგობრობის სახელით იმის ზრუნვასა და ცდაშია, რომ გარშემო წვრილი სახელმწიფოები შემოარტყას ოსმალეთს და ჩვენი მტრობა ჩაუნერგოს ამ სახელმწიფოებს გულშიო. დასასრულ, ბოლგარიაც-კი ხელიდამ ეცლება ოსმალეთს ინგლისისა და ავსტრი-ვენგრიის წყალობითაო".

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

წერილი 2-რე

Археологич. путешествіе по Гуріи и Адчарѣ. დ. ბაქრაძისა, ასლიანით დაბეჭდილი, პეტერბურგის საიმპერ. სამეცნიერო აკადემიის მიერ 1878 წ. ფასი 2 მან

„საარქეოლოგიო მოგზაურობა გურია-აჭარაში" იყოფება ხუთ თავად ანუ შესდგება ხუთ დიდ წერილისაგან.

პირველ წერილში მოხსენებულია მიზეზი მოგზაურობისა; შემდეგ განხილულია ერთი ახლად ნაპოვნი საარქეოლოგიო განძი; ჩართულია ამბავი აჭარელის ქალის ერმასი; აღწერილია გურიის გზა, ოზურგეთი, ჩურუქსუ, ბათომი და მისი მიდამოს ძეგლნი; დამატებულია ცნობანი დაზების ყოფა-ცხოვრებისა, ბოლოს კიდევ არის ჩართული ორი წყალობის წიგნი: ერთი მათგანი ქართულია, მეორე ოსმალური.

1873 წელს, მოგვითხრობს ავტორი, სამეცნიერო აკადემიის მონდობილობით მე, დ. ბაქრაძეს, მომიხდა საარქეოლოგიო გამოკვლევა გურიისა ანუ აწინდელ ოზურგეთის მაზრისა და ახალციხის ძველის საფაშოს სამხრეთის ნაწილისა, ოსმალოს საქართველოდ ნამყოფისა: ჩურუქსუსი, აჭარა-ლაზისტანისა და ჭოროხ-მტკვრის სათავეებისა. აზრად მქონდა: განხილვა და აღწერა ძველ ნაშთებისა, მეტადრე ეკკლესია-მონასტერთა, შეკრება და გადმოწერა ძველ გუჯრებ-სიგელებისა, ეკკლესიების წარწერებისა და კერძო წერილებისა, რასაც კი მოვიპოვებდი.

ბაქრაძის მოგზაურობა ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა. ჯერ გზაზედ სვლის დროს ქუთაისშივე ბაქრაძეს შემთხვევით ჩავარდნია ხელში ერთი შესანიშნავი წიგნი «კურთხეული იოანე ოქროპირისა, ბასილი დიდისა და გრიგორი დიალოღის წირვათა", ღვდელთა და ეპისკოპოსთ კურთხევის წესის დამატებითურთ. ამ წიგნში იყო დაბეჭდილი ღერბი ბაგრატიონებისა და და სურათი მეფე ვახტანგ VI-ისაო. მეფის სახე ცხოველი იყო იმ სურათზე. წვერი მოკლე ჰქონდაო. ამ წიგნშივე აღმოჩნდა შემდეგნი წარწერანი:

ა) სადიდებელად წმიდისა სამებისა მე, გვარ-ტომობით ძირ-მოდგმით დავითიანმან, ძის ძემან სახელ-განთქმულის მეფის არჩილისამან და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფისა გიორგისამან, და ძემან დიდად პატიოსნის ლევანისამან, განმგებელმან ქართლისამან, ბატონის-შვილმან ვახტანგ მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა სახსრად სულთა წინა-თქმულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათვის, სალხინებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანისა... ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად.

ბ) ვინაიდგან სამღვდელონი მამანი ქართველთანი დაკნინებულ იყვნეს სამღვდელოთა წიგნთაგან და ვერ წარემართებოდა ნაკლულევანთა მღვდელთაგან მღვდელობა თვინიერ ამისა წიგნისა, ამისთვის განიცადა ესეცა და გულის-ხმა ჰყო პატრონმა და გამგებელმა ქართველთამან ბატონის-შვილმა ვახტანგ, ვითარმედ დიდად სახმარი არს დაკლებულთა მღვდელთათვის წიგნი ესე წმიდისა მსხვერპლისა შესაწირავისა, ამისთვის დაშვრა ამასა ზედაცა, ვითარცა სხვათა წიგნთა ზედა, რომელიც დავბეჭდეთ თქვენ ქართველთა ენასა ზედა, რათა ამასაცა დაბეჭდვასა ხელ-ვჰყოთ და დავსდგათ სანთელი სასანთლესა ზედა... ამისთვისცა ჰე უწმინდესნო მღვდელთ-მთავარნო და განკრძალულნო მღვდელნო, რაოდენთა გენებოსთ მილებად ხელად წიგნი ესე, გევედრები ყოველთავე, რაჟამს სწირვიდეთ და იმსახურებოდეთ წიგნითა ამით უსისხლოთა მსხვერპლთა ზედა, ხსენებასა ჰყოფდეთ და ილოცვიდეთ სიმრთელისა და ცხოვრებისათვის ამის საფასეთა წარმგებელისათვის და გამმართველისა და დამბეჭდველისათვის....

ქ: თქვენი სულიერი შვილი მესტამბე მიხაილ სტეფანეს შვილი უნგრო-ვლახელი.

გ) დაიბეჭდა ქ. ტფილისსა ხელითა მესტამბე მიხაილ სტეფანესშვილისა უნგრო-ვლახელისათა, ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ათას-შვიდას და ათსა.

დისა. რათა?—ვალში. სამწუხარო-კი უფრო ეს არი, რო ჩვენის-ქვეყნის მამულებს სხვანი ყიდულობენ და აინუშიაც არ ვიგდებთ, რომ ერთხელ ჩვენი შვილები შეგვაგინებენ და ღირსნიც ვიქნებით. რახან ვისმე გაგვიწყრება ღმერთი და მამულს ამოვიღებთ გულიდამ, თუ იგრევ, როგორც არი, ჩვენსავე მეზობელ და ნათესავს უნდა ვასყიდებდეთ. სხვის ბევრს შენიანის ცოტა გერჩიენოსო.

რაღაცის თქმა მეწადა და გადამავიწყდა... ჰო, ეს უნდა მეთქვა. ბევრის გლეხისაგან გამიგონია: „მავანი კაცი თავადიშვილია და ყისმათიანიც იმიტოა, თორემ აბა გლეხი იყოსო". «მტყუანს ტყუილის კარებამდინ მიჰყეო», ნათქვამია და აბა მეც ეგრე მოვიქცევი და ვნახოთ, ვინა ტყუის. აი სიჭეშმარიტეც: ეგე ის «ჩინოვნიკი», ერთის ვიღაცა მებაშმაკეს შვილია. იმისი ხელ-ქვევითნი კი, ბევრი წილი, ჩვენი თავად-აზნაურები არიან, მაგრამ დღეს იმათ გვარიშვილობა ვეღარასა ჰშველით და გლეხ-კაცის ბძანებას ემორჩილებიან. რათა? იმიტო რო მებაშმაკის შვილი კაი ნასწავლი კაცია და კაი ჭკვის მოხმარებაც იმას შეუძლიან ხალხის მოვლაში. თორემ აბა თუნდა შეჰხედეთ უხეირო მოხელესა ან გზირს, როგორ გული ყელში ჰჩრიათ და დიდობენ. აბა ახლა ინახულეთ სწავლით კურთხეული დიდი კაცი, როგორი ღვთის ნათლული, საწყლების მოსიყვარულე და თავ-დაბალია, როგორც ქრისტე ღმერთი გვიბძანებს: „აიღეთ უღელი ჩემი თქვენზედა და ისწავეთ ჩემ მიერ, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითაო".

თუ კაცს რიგიანი ცოდნა არა აქვს, ხელმწიფის შვილობაც ვერ დააშვენებს. კეთილი საქმე კეთილ-ცოდნას მოზდევს და არა გვარიშვილობას. გვარიშვილობას აჯამობის დროსა ჰქონია გასავალი. დღეს კი „დრო შეიცვალა... გამეფდა სწავლა" [1].

ზარშანწინ ბიძაჩემს ვესტუმრე ქართლში და მზე გადახრილი იყო, როცა მითხრა: „ნამგზავრი ხარ, მოგშიოდა შე საწყალო. წამო, გენაცვალე, ჩვენის ბახჩის გრილოების ქვეშ, მწვანეზე გულიანად მაინც ვისამხროთ, თუ ქართულად ვერ მოვილხენთო".

დავსხედით სამხარზე და ერთი-ორიოდე ლუკმა რომ ავიღეთ, სიტყვამ მოიტანა და მითხრა ბიძაჩემმა: „აი ყური დამიგდე, შვილო, და გეტყვი რაზედაცა ვარ განაწყენებულიო. აგე ის გომური ერთის ქვრივის დედა-კაცისაა. ამ ქვრივს ერთი ექვსი თვის ნაქორწილევი მარწყვივით ბიჭი ჰყავს. ეს ბიჭი მეძროხედ იდგა სხვასთან და საუბედუროდ მგელს დაუცოფნია ამას წინად. ეს კი არა სცოდნიათ, რო ნაკბენი ხორცი მაშინვე გახურებულის რკინით დაედაღნათ, ან დოხტორისათვის ეჩვენებინათ და ვიღაცა მატყუარა დედა-კაცის წამალი უსმევიათ. მაგრამ ის ნურც მტერსა და დუშმანს, რა საფთხეშიაც დღეს იმას ფეხი უდგაო. ეხლაც კი თვალებში მელანდება იმის მოხუცის დედისა და პატარა, მარგალიტივით ცოლის გულ-საკლავი ქვითინი და სიმწარით გულზე ცეცხლი მედება და ხორცი მადნებაო."

ეს საცოდავობით სავსე სიტყვები იგრე ლოდებივით დამაწვა გულზედ, რო სიბრალულმა მაშინვე პირი გამიფიტა და მშიერს მადა შამიკრა. მაგრამ რა იცის კიდევ კაცმა, საათს რა მოაქვ. ამ ლაპარაკში რო ვართ, ენახოთ, შაიქნა სოფელში ერთი ალიაქოთი. გავიხედეთ და ქვრივის გომურის წინ ხალხი თქონთქოლებდა. წამოვხტით და ჩვენც გავიქეცით. მაგრამ ის სანახავი ღმერთმა ნურავის თვალს აჩვენოს, რაც ჩვენ იქა ვნახეთ და მოვიხილეთ: იგრე ძალზედ მოჰრევნოდა ცოფი იმ საცოდავ მეძროხეს, რო დირეფის ბოძზე საბლებით აკრავდნენ.

საწყალი მეძროხე ხან საზარელის ხმით გაჰკიოდა, ხან მეტის სიმწარით კბილებით თითებს იკვნეტდა, ხან რაღაც-ნაირად თვალებს აცეცებდა, ხან გულ-სადაგად ამოიოხრებდა ხოლმე და სცვიოდა კუნწულა ცრემლები, ხან კბილებს აღრაჭუნებდა და სახეს ილმანჭიდა, ხან ახველებდა და დორბლებსა ჰყრიდა და ხან მისუსტდებოდა და მიმკვდარდებოდა ხოლმე. იმისი დედა და ცოლი კი ეწყვნენ მიწაზე უგონოთ თავ-პირ გადალადრულები და წყლით აბრუნებდნენ.

მთელი ის სოფელი იგრე იწოდა და ქვითინებდა იმათის საცოდაობით, რო ქვასაც კი ატირებდნენ. ისე დამწვა და დამდაგა იმათმა შავმა დღემ, რო ცრემლები დღი-სინათლის მიბნელებდნენ და ვფიქრობდი გულ-დათუთქული: ნეტა ცა დამტეხოდა თავზე და ეს ცეცხლის დღე კი არ მენახამეთქი.

ისე გათავდეს თქვენი სიცოცხლის ჩამამწარებელი ავი საქმე, როგორც ბინდ-მანდისას გათავდა ტანჯვით საბრალო მეძროხე და გამოესალმა უდროოთა და სამუდამოდ ყვავილებით მოქარგულს მზიანს ქვეყანას, კალმით დახატულ თავის პაწიწინა ცოლს, მოხუც დედას, თავის სახლ-კარს, თავის სწორ-ამხანაგებს, თავის სალამურის ღუღუნში თავისთან შეზდილ ძროხებს და ყველა ამ წუთი-სოფლის სიხარულსა.

ღმერთო და ღვთის სამართალო, შენ შეეწიევე ყველას კეთილის გულის ნამდომს.

აბა ეხლა, თუ თქვენც მიბძანებთ, ცოტახანს დავისვენოთ. მასკვან პატა ხანსაც დამიგდეთ ყური და მერე კი თქვენი გამარჯვობისა იყოს და ნუ მოგვიშალოთ ღმერთმა ერთმანეთის ძმობა და სიყვარული, რო სამაგიეროდ მადლი ღვთისა გწყალობდეთ ყველგან.

მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

---

[1] გრ. ორბელიანი

ქ: პრეკუმ ჩეი სტრეინი დორესკ:
მოშია სეშვა ზე:
კინდ სინტინტრალტე ეცარე:
დენუპოტსეშა ზე:
ქ: ში კაჩეი ჩეს პრე მარე: ბატუწ
დე ფურთუ ნა:
ში როაგა პრე დუმნეზეუ: დე
ლინიშტე ბუ ნა:
ქ: ამაში ტიპოგრაფი: დო კერ-
ცეი სფერში რე:
ლაუდა ნენჩეტატა: დაუ: ში
მულცემი რე:

სამწუხაროდ ამ უკანასკნელის ლექსის თარგმანი არ არის მოყვანილი ბაქრაძის წიგნში და ჩვენც უნგრო-ვლახურ ენის უცოდინარობისაგამო ვერ ვაკმაყოფილებთ მკითხველების ცნობის-მოყვარეობას.

ზოგიერთ საეთნოგრაფიო და საგეოგრაფიო ცნობებ გარდა ბაქრაძეს ბათომზედ აქვს მოყვანილი შემდეგი საისტორიო ცნობანი:

ბათომის სახელი ძველადგანვე იცოდნენ. უწოდებდნენ Bathys (ბათის). ბათომი რომაელების სამხედრო ბანაკად იყო ხოლმე; მერე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ ბათომში ჩაყენებული იყო იმპერატორ ადრიანეს მხედრობა. შემდეგში გურიელების სამფლობელოს ეკუთვნოდა. ქართველთა მატიანენი მოგვითხრობენ, რომ ოსმალებმა გურიელს როსტომს წაართვეს ბათომი 1564 წელს და როგორც ბათომში, ისე გონიაშიაც აღაშენეს ციხენი. იმის შემდეგ ბათომი სასანჯაყოდ შეიქმნა და მიეწერა ტრაპიზონის გუბერნიას...

ბათომში ბაქრაძეს უნახავს თვისი მეგობარი, ლაზისტანის დიდებულთაგანი ჰასან-აღა მოურავიშვილი. ამას ისტორიკოსისათვის უამბნია ბევრი საინტერესო ამბები ბათომის აგ-კარგიანობაზედ, გარეშემო განბნეულ ნაშთებზე, ლაზისტანზე და აჭარულ ხალხზე. ლაზების შესახებ ბაქრაძესთვის, სხვათა შორის, გარდუცია ერთი ლაზური გარდმოცემა, რომელიც გვაუწყებს, რომ ლაზნი და მეგრელნი ერთი ტომისანი ვართო. ამ ტომს ეჭირა შავის ზღვის ნაპირა ქვეყანა კემერიიდგან (კამარა) მოკიდებული“ ვიდრე ბიჭვინტამდე. ქართველთა რომელღაც მეფემ გააცალკევა ლაზ-მეგრელნი და მათ შუა დაასახლა ქართველნიო, ე. ი. ეხლანდელნი აჭარა-გურულნიო.

ლაზებზე ჩვენ აღარ განვაგრძობთ სიტყვას, უფრო მისთვის, რომ ამათ ისტორიას ჩვენ დავუბრუნდებით სხვა წყაროს გარჩევის დროს.

აქ არ გამოვეკიდებით აგრეთვე ოსმალურის სიგელის ამბავს, რადგან წერილი გაგრძელდება; რაიცა შეეხება ქართულს გუჯარს, აი ის გუჯარი:

> ქ: ესე: წყალობის: წიგნი: დაგიწერე: მტკიცე: უქცეველი: მიზეზ: შამოულებელი: დრო პატრონობასა: შინა: შეუცვალებელი: იაჲე: და გააჲებინე: შეგიწყალე: და გიბოძე: ჩვენ: პატრონმან: იესე: ცინცაძემან: შენ: მიქელას: ფაყვაძეს: შენსა: შვილსა: გიორგის: და ოვანეს: და გაბრიელს: მოგვიცემია: ერთი: საყანე: ხვანიაური: გიბედნიეროს: ღმერთმან: ჩვენსა: ერთგულად: სამსახურში: აწ: ამისნი: მოწამენი: არიან: იესე: ფირანიშვილი: ბერიძე: ბეჟიტაი: ლაშვარაძე: სხვა: ჩვენი: კარის: მდეგნი: უზედაესნი და უქვედაესნი:

რა დროს ეკუთვნის ეს გუჯარი, არა სჩანს. იგი დაწერილია უბრალო ქაღალდზე, ზედ ასვია ჯვარის ბეჭედი და მოწერილია გვარი ცინცაძისა. ამ გვარის წარმომადგენელნი ეხლა გლეხებად ითვლებიან და სცხოვრობენ გურიაში. ფაყვაძენი სცხოვრობენ ბექან-ოღლის მამულის ახლოს და იქვე არსებობს ხვანიაურად წოდებული მამული.

(დასასრული იქნება)

დეპეშა

28 იანვარი

პეტერბურგი. სენატმა განიხილა სასამართლო საჩივარი სტავროპოლის მომრიგებელი მოსამართლე ეგლასოვისა, რომელიც ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენის ძალით ქრთამის აღების გამო კატორგაში უნდა გაგზავნილიყო. სენატმა განაჩინა: ეგლასოვი გამართლდეს და ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენი გაუქმდესო.

აქაურმა საქალაქო საბჭომ გადასწყვიტა დააარსოს ორი მუქთი სახალხო სამკითხველო პუშკინის სახსოვრად.

ლიმბურგი. აქაურმა ეპისკოპოსმა აუკრძალა სასულიერო წოდების პირთა, რომ სეპტენატის არჩევნებში მონაწილეობას ნუ მიიღებთო.

ლიონი. გუშინ გადაგდებული იქმნა ორი დიდი ყუმბარა პოლიციაში. სამი პოლიციელი დაჭრილია.

ლონდონი. გუშინ სოციალისტებმა გამართეს მანიფესტაცია; ბრბომ ჩაამტვრია რამდენიმე ფანჯარა და გაქურდა დუქნები.

29 იანვარს.

ლონდონი. საზინის კანცლერი გოშენი ამოირჩიეს საზოგადოებათა პალატის წევრად ლონდონში.

ბერლინი. გამოაცხადეს წესები ჯარების გადაყვან-გადმოყვანისა რკინის გზით ომიანობის დროისათვის.

სტრასბურგი. სადილზე, რომელიც გამართული იყო ელზას-ლოტარინგის წარმომადგენლებისთვის, ამ ქვეყნის მთავარ-მართებელმა სთქვა: თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ომი აუცილებლად მოხდება, მაგრამ ომის შიში კი ყოველთვის იქნება, მინამ საფრანგეთი სამუდამოდ გულიდამ არ ამოიღებს წართმეულ ელზას-ლოტარინგს, რომელსაც გერმანია არასოდეს უკან აღარ დაუბრუნებს. მშვიდობიანობას ბევრით ხელს შეუწყობენ თვით ამ ქვეყნის მკვიდრნიც, თუ რეიხსტაგში გასაგზავნად სამხედრო კანონ-პროექტის მომხრეთ ამოირჩევენ. როდესაც ყველა დარწმუნდება, რომ ამ ქვეყნის მკვიდრთა შეითვისეს ისე, რაც 1870 წლის ომს მოჰყვა, მაშინ ელზას-ლოტარინგსაც იმავე უფლებას მიანიჭებენ, რაც გერმანიის ყველა მოკავშირე სახელმწიფოსა აქვს.

პეტერბურგის ბირჟა, 29-ს იანვარს

ფასები:

	მყიდველისა	გამყიდველისა	გარიგებისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ მანათიანი ოქრო	— ›	— ›	9 9
ტამოჟნის კუპონები	— ›	— ›	176 ›
5% პირველის შინაურის სესხის მოგები ბილეთი	— ›	— ›	236½
— მეორისა	— ›	— ›	228 ›
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	— ›	97¾	— ›
ქუთაისის ბანკისა	— ›	97¾	— ›
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— ›	— ›	85 ›

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 იანვრიდამ 1 თებერვლამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა	3
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა	5 ›
მე-2 ხარისხისა	4 ›
მე-3 —	3½ ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 ›
› 2 ›	7 ›
სუკი	14 ›
ცხვრის ხორცი	8 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმას შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მიდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება

თბილისში გრ. ჩარკვიანის და ქუთაისში ძმათა ჭილაძეების მაღაზიაში:

საქებართა ქებანი

წერილი პირველი

დ. კარიჭაშვილის მიერ.

(3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველგან

ინსტინკტი (ალლო) დარვინის თეორიის შეხედულობით, თარგმანი რომანოზ ფანცხავას-მიერ, ფასი 15 კაპ.

ღვთის კაცის სიკვდილი, მოთხ. ჩარლზ დიკენსისა, თარ. ივ. ხოტეველისა. ფასი 5 კაპ.

გამოცემანი ზ. ჭიჭინაძისა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1887 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 „	9 „ 50 ›	5 „	5 „ 25 ›
10 „	8 „ 75 ›	4 „	4 „ 75 ›
9 „	8 „ — ›	3 „	3 „ 50 ›
8 „	7 „ 25 ›	2 „	2 „ 75 ›
7 „	6 „ 50 ›	1 „	1 „ 50 ›

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ.“

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი, სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისთვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9

„КАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(ЕЖЕДНЕВНАЯ ГАЗЕТА).

Съ 1-го января 1887 г., въ г. Тифлисѣ, будетъ выходить ежедневно, не исключая и послѣ воскресныхъ дней, политическая, литературная и юридическая газета *„Кавказское Обозрѣніе“* (съ торгово-промышленнымъ отдѣломъ), по слѣдующей программѣ:

I. **Статьи по вопросамъ:** а) теоріи и практики права и судопроизводства, экономическимъ, финансовымъ, государственнымъ, международнымъ, общественнымъ, по обычному праву и статистикѣ; б) русской и иностранной общественной жизни, политики и литературы; и в) промышленнымъ: нефтяному, винодѣлію, шелководству, марганцовому дѣлу и др.—II. **Обозрѣніе правительственныхъ распоряженій.**—III. **Судебное обозрѣніе** (судебные отчеты и кассац. рѣшенія).—IV. **Общественное Обозрѣніе** (отчеты о засѣданіяхъ общественныхъ собраній и ученыхъ обществъ).—V. **Тифлисское и Кавказское обозрѣнія** (новости и корреспонденціи).—VI. **Русское обозрѣніе.**—VII **Иностранное обозрѣніе.**—VIII. **Обозрѣніе русской и иностранной періодической печати;** критика и библіографія.—IX. **Торгово-промышленное обозрѣніе** (торгово-промышленныя свѣдѣнія и курсы).—X. **Фельетонъ:** романы, повѣсти, разсказы о явленіяхъ общественной жизни стихотворенія.—XI. **Послѣднія новости и телеграммы.**—XII. **Смѣсь.**—XIII. **Театръ и музыка.**—XIV. **Справочный указатель** (резолюціи Тифлисскихъ судебныхъ установленій по дѣламъ апелляціоннымъ и кассаціоннымъ и пр.).—XV. **Объявленія.**

Газета будетъ помѣщать корреспонденціи изъ большей части городовъ и селеній Кавказскаго края, изъ С.-Петербурга, Москвы, Нижняго-Новгорода, Одессы, Варшавы и др. городовъ, а также Тегерана, Константинополя и Парижа.

Въ газетѣ примутъ участіе многіе столичные и кавказскіе корреспонденты и извѣстные писатели.

Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа въ Тифлисѣ-1) въ редакціи газеты—Сололаки, Нагорная улица, № 21; 2) *въ типографіи „Кавказскаго Обозрѣнія“*—Дворцовая улица, каравансарай (бывшій) Арцруни, и 3) *въ Центральной книжной торговлѣ.*

Подписная цѣна на газету (съ доставкою и пересылкою): на 12 мѣсяцевъ—12 руб., на 6 мѣс.—6 руб. 50 коп., на 3 мѣс.—3 руб. 50 коп., на 1 мѣс.—1 руб. 50 коп. **Служащіе пользуются разсрочкою и уплачиваютъ: при подпискѣ, 1-го января и 1-го августа по 4 р.**—*Отдѣльные №№ по 5 коп.*—Объявленія—строка петита 5 коп., *при неоднократныхъ объявленіяхъ дѣлается уступка.*

Газета будетъ печататься въ типографіи *„Кавказскаго Обозрѣнія“* (Н. И. Френкель). **Типографія исполняетъ всевозможныя типографскія работы.**

Редакторъ-издатель **А. С. ФРЕНКЕЛЬ.**

Дозв. ценз. Тиф. 29 января, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე